

რა არის

საბანგებო მდგომარეობა?

ეს არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შემდეგ შემთხვევებში:

- მასობრივი არაულობა
- ძველნი სერიოზორიული მთლიანობის ხელყოფა
- სახელდრო გადატრიალება
- შიარაღებული ამბობება
- ტერორისტული აქტი
- ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფა
- ეპიდემია
- ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლებას ორგანოები მოქალაქული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

რა არის

საგანგებო მდგომარეობის მიზანი?

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია და COVID 19 – ის გავრცელების სიჩქარის შეფერხება და ზოგადად, მასობრივი გავრცელების შეჩერება.

2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიმართა პრეზიდენტს მთელი ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ერთი თვით 2020 წლის 21 აპრილამდე.

პრემიერ მინისტრის წარდგინებით, პრეზიდენტი აცხადებს საგანგებო მდგომარეობას. პრეზიდენტის დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ბრძანებას ამტკიცებს შეკრებისთანავე.



საგანგებო მდგომარეობის ღამთაღმშენი შიგნით, ეს მდგომარეობა მთავრობას მისცემს შიგნით შესაქმნალოებს:

- იზოლაციის ან კარანტინის წესის დარღვევისთვის პირი იძულებით იქნას გადაყვანილი შესაბამის დაწესებულებაში, წესების დარღვევისთვის გამოყენებული იქნება სანქციები.
- საერთშორისო სამგზავრო, საჰაერო, სახმელეთო მიმოსვლაზე წესდება შეზღუდვები, გარდა სატვირთო გადაზიდვისა.
- დგინდება საჯარო მიწოდების განსხვავებული წესები და ადმინისტრაციული საქმის წარმოების განსხვავებული წესები და ვადები.
- საქართველოს მთავრობას მიეცემა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში საკარანტინო, საიზოლაციო, სამედიცინო მიზნებისთვის შეზღუდოს საკუთრების უფლება და გამოიყენოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.
- იზღუდება 10 კაცზე მეტი ადამიანის თავშეყრა.
- მთავრობას ექნება უფლება, კერძო ორგანიზაციების, ბიზნესსტრუქტურებს შეუზღუდოს ან დაავადოს კონკრეტულ საქმიანობის განხორციელება.
- აუცილებლობის შემთხვევაში მთავრობა უზრუნველყოფს მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებასა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების რეგულირებას.
- მთავრობა დაადგენს განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესებისგან განსხვავებულ წესებსა და პირობებს, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა შეძლებს მოახდინოს შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირთა საყოველთაო მოზიდვება.
- საქართველოს სასამართლო სხდომები შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად

სანქციები

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვადღებუდია, დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. საგანგებო მდგომარეობის დროს შემოღებული წესების დარღვევა გამოიწვევს:

- ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას:
ჯარიმას ფიზიკური პირებისთვის სამი ათასი ლარის ოდენობით,
იურიდიული პირებისთვის 15 ათასი ლარის ოდენობით.
- იგივე ქმედება განმეორებით გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამ წლამდე ვადით.



ს ა ბ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თ ვ ი ს